# ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის გაერთიანებული სხდომის ოქმი №13

15 ივნისი , 2018 წელი

13:00 საათი

(ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ოთახი 329)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. თამარ ტალიაშვილი;
2. ვლადიმერ ძნელაძე;
3. გიორგი მუსხელიშვილი;
4. გიორგი დოხტურიშვილი;
5. ოთარ გრიგოლია;
6. ლილე ლიპარტელიანი;
7. ფრიდონ ინჯია;
8. დათო ჟღენტი

სხდომის დღის წესრიგი:

**1.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე**

(#12-031816495-03; 13.06.2018;)

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გიორგი ბირბიჩაძემ - წარადგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ ცვლილებებს:

1.იზრდება **საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურების** (კოდი: **06 02 11**) ქვეპროგრამის ბიუჯეტი 2 927 600 ლარის ოდენობით.

2. **წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში (კოდი: 06 02 20 02)** ქვეპროგრამის ასახვა მოხდა მთაწმინდის რაიონში და ქვეპროგრამის მოცულობა აღნიშნულ რაიონში განისაზღვრა 17 500 ლარის ოდენობით.

3. მცირდება **სასწრაფო სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამის** (კოდი 06 01 01) მოცულობა 16 800 ლარის ოდენობით.

4.მცირდება წყალმომარაგების **სისტემის მოწესრიგება რაიონებში (კოდი 06 02 20 03-საბურთალოს რაიონში)** ქვეპროგრამის მოცულობა 398 000 ლარის ოდენობით.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

კომისიის წევრები დაინტერესდნენ თუ რამ განაპირობა ქვეპროგრამების დაფინანსების შემცირება.

გიორგი ბირბიჩაძემ - განმარტა მიზეზები, რის გამოც წარმოდგენილი იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების პროექტი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 მაისის N1205 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 10 000,0 ათასი ლარის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება და შეადგენს 906 863,6 ათას ლარს.
- ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

**დაადგინეს:**

აღნიშნული პროექტი (#12-031816495-03; 13.06.2018;) განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, **ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.**

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე